პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ---- სექტემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

62-21-2-202409161255

N 62/21

16.09.2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ინფორმაციას ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის " 2024 წლის 1 და მე-2 კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 5 ფურცელი.

პატივისცემით ,

რევაზ მესხი

მმართველი

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ანგარიში
2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ გეგმაზომიერად ახორციელებს მასზედ დაკისრებულ ფუნქციას, რაც მიმდინარე წლის I-II კვარტალი მნიშვნელოვანი, დადებითი შედეგებით გამოიხატა საბიბილოთეკო, სამუზეუმო და სახელოვნებო საქმიანობის კუთხით.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ საბიბლიოთეკო გაერთიანება ჩვეული რიტმით შეუდგა მკითხველთა მომსახურებას, დაგეგმილი შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარებას.

7 თებერვალს აღინიშნა ხმამაღალი კითხვის მსოფლიო დღე ,, იკითხე ხმამაღლა - შეცვალე მსოფლიო“. აღნიშნული აქცია მიეძღვნა იუბილარი ნაწარმოების, ოტია იოსელიანის ,, დაჩის ზღაპრების“ ხმამაღალ კითხვას მთავარ ბიბლიოთეკაში, საქალაქო საბავშვო, გვიშტიბის, მეორე უბნის, გეგუთის, გუბისწყლის, პირველი წყალტუბოს, სოფელ წყალტუბოს, ოფურჩხეთის, მუხიანის, ქვიტირის, გუმბრის, ფარცხანაყანევის ბიბლიოთეკებში.

29 თებერვალს მეორე უბნის, დერჩის, დღნორისის, ჭაშლეთის სასოფლო ფილიალებში პოეტ მაყვალა მრევლიშვილის 115 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა ლიტერატურული დილა ,, შენ გიგალობ, პატარავ“.

მარტის თვე მიეძღვნა ლიტერატურულ აქციას ,, დედას აგიყვან მზესთან“, რომელმაც მოიცვა ორი საგანმანათლებლო კერა- საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკების სტუმრები იყვნენ ახალგაზრდა დედები და შვილები. ღონისძიებები 14 ბიბლიოთეკაში მოეწყო, რომელსაც 400-მდე სტუმარი ესწრებოდა.

აპრილ - მაისი - მთლიანად დაიტვირთა ტრადიციული საბიბიოთეკო კვირეულის ღონისძიებებით, რომელიც სიუხვესთან ერთად მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა.

გვიშტიბის ბიბლიოთეკაში ახალგაზრდებთან ლიტერატურის შესახებ საინტერესო საუბარი გამართეს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა მერაბ გვაზავამ და ჩვენმა თანაქალაქელმა ლიტერატურათმცოდნე რამაზ იოსელიანმა.

მაღლაკის ბიბლიოთეკაში მკითხველებს სტუმრობდა მწერალი ცირა ყურაშვილი.

ოფურჩხეთისა და დერჩის ბიბლიოთეკებმა უმასპინძლეს პოეტებს - ნინო უძილაურსა და თამარ შაიშმელაშვილს.

რიონის წიგნის მოყვარულები შეხვდნენ პოეტსა და ჟურნალისტს ნათია ჯიმშელეიშვილს.

ქვიტირის, მუხიანის, სოფელ წყალტუბოსა და ხომულის ბიბლიოთეკებმა აღნიშნეს იუბილარი მწერლების: გოდერძი ჩოხელის, გურამ რჩეულიშვილსა და ანნა კალანდაძის დღეები.

ფარცხანაყანევის სასოფლო ბიბლიოთეკამ ღონისძიება მიუძღვნა პოეტ ენდი ნემსიწვრიძის ხსოვნას,რომელსაც ესწრებოდნენ გარდაცვლილი პოეტის მეუღლე და ადგილობრივი სოფლის წარმომადგენლები.

საყულიის ბიბლიოთეკამ მკითხველების მონაწილეობით პოეზიის საღამოები გამართა, აკაკის, გალაქტიონის, ტიციანისა და პაოლოს ძეგლებთან ქალაქ ქუთაისში.

ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკამ ლიტერატურული კომპოზიციით, ,, ქვეყანა მათ ხსოვნას სანთლებათ აინთებს", აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

ივნისში მთავარ ბიბლიოთეკაში ქალაქის ფართო საზოგადოებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა იუბილარ მწერალთან ავთანდილ ყურაშვილთან.

საღონისძიებო საქმიანობის პარალელურად საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ინტენსიურად გააგრძელა ბიბლიოთეკების ფონდების გაწმენდა-დამუშავების პროცესი. მარტში დაიწყო და გაგრძელდა მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონის შემოწმება(აღწერა) საინვენტარო წიგნებთან შედარების გზით. უკვე აღწერილია 24665 ბეჭდური ერთეული.

ივნისში მთავარი ბიბლიოთეკის მეთოდურმა ჯგუფმა პროფესიული დახმარება გაუწია თერნალის პროფ სასწავლებილის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. აღნიშნული ბიბიოთეკის წიგნად ფონდს მიენიჭა ინდექსები, შედგა ბარათები და ფონდი განლაგდა საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

გამოცდილების გაზიარების მიზნითშედგა შეხვედრა ბათუმისა და ხულოს ბიბლიოთეკების მენეჯერებთან.

2024 წლის 6 თვეში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისგან, ავტორებისა და მკითხველებისაგან საჩუქრად მივიღეთ 58 სხვადა სხვა დასახელების წიგნი, ღირებულებით 937 ლარი,რომელიც დამუშავდა და გადაეცა ფილიალებს.

საბიბლიოთეკო გაერთიანება საანგარიშო პერიოდში მოემსახურა 2100 მკითხველს. გაცემულია 11800-მდე ეგზემპლიარი.

გრძელდება სამუზეუმო ფონდებისა და მუზეუმის ბიბლიოთეკის აღწერა-დაკომპლექტების პროცესი. საანგარიშო პერიოდში გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუში ჩატარდა 137 ექსკურსია, მუზეუმი დაათვალიერა 752 ვიზიტორმა, აქედან შემოტანილი თანხა შეადგენს859 ლარს.

2561 ლარის საექსკურსიო მომსახურება დაფიქსირდა ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა“ საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთა სხვა და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის: 9 აპრილისა და 9 მაისის აღსანიშნავად პატივი მიეგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ფაშიზმთან ბრძოლის დროს დაღუპულებს. მოეწყო ახალგაზრდა ქორეოგრაფის ბესო შენგელიას ხსოვნის საღამო. ,, თამარობის“ სახალხო დღესასწაული გეგუთის ციხესთან, 26 მაისს საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საზეიმო კონცერტი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ამავე თვეში მოეწყო კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის ლია ხოტივარის ხსოვნის საღამო სოფელ გეგუთის კულტურის სახლში.

აღსანიშნავია ქართული ცეკვის ანსამბლ ,, ივერიას“ წარმატება, რომელიც სიმღერის ფოლ;კლორულა ანსამბლ ,, ნადურთან“ ერთად

მიმდინარე წლის მაისის თვეში საანგარიშო კონცერტით წარსდა წყალტუბოელთა წინაშე. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნადა ცეკვის ანსამბლის საგასტროლო ტურნე ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რომელიც სპეციალური მიწვევით განხორციელდა. წარმატებული იყო ასევე ანსამბლ ,,ნადურის" მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალში ,, ნარინჯისფერი ქობულეთი", სადაც ფესტივალის უმაღლესი ჯილდო გრან პრი დაიმსახურა.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" სახალხო თეატრმა მაყრებელს წარუდგინა პრემიარა დ. კლდიაშილის ,, ბაკულას ღორები", რომლითაც მონაწილება მიიღო იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში. სპექტაკლმა გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო ქორეოგრაფია, რისთვისაც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ მსახიობები მიხეილ ჭელიშვილი და მარიამ მამასახლისი. ჟიურის სპეციალური პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის წილად ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს სერგო კირკიტაძეს.

სახალხო თეატრმა თოჯინური სპექტაკლით ,,აბეზარა", ადგილზე ჩასვლით მომსახურება გაუწია სოფელ გეგუთის და ოფურჩხეთის მოზარდ მაყურებელს. აღნიშნული სპექტაკლი ნაჩვენები იქნა იანვრის თვეში ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვისაც.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრმა დაქვემდებარულ დაწესებულებებში განახორციელა რიგი კაპიტალურ-შეკეთებითი სამუშაოები. კერძოდ: საყულიაში გაკეთდა სველი წერტილი (1663 ლარი), გეგუთის კულტურის სახლში შეკეთდა სახურავი და წყლის საწრეტები (559 ლარი), ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის იატაკის შესაკეთებლად შეძენილი იქნა ხის მასალა (127 ლარი), დამზადდა და ჩაისვა 3 ცალი კარები (1305 ლარი), გაკეთდა წყლის მიწოდება ახლად აშენებულ სველ წერტილებში (559 ლარი); საკონცერტო დარბაზისათვის შევიძინეთ 2 ცალი დინამიკი (9000 ლარი), 10 ცალი ცეცხლმაქრი დაწესებულებებისთვის (600 ლარი), ბიბლიოთეკებისათვის გამოწერილი იქნა 803 ლარის ჟურნალ-გაზეთები.

კულტურის ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი წამოადგენს. დამატებით ვიყენებთ საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმში რეალიზებული ბილეთების ამონაგებითა და ფასიანი წრეებით მიღებულ შემოსავლებს.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრის ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 766174 ლარს, ხარჯი გაწეული იქნა 645562 ლარის ოდენობით. საკუთარი სახსრები გეგმით გათვალისწინებული იყო 30712 ლარი, ფაქტიური შესრულება შეადგენს 8968 ლარს. არაფინანსური აქტივები გეგმით 38900 ლარი, ფაქტიური 8968 ლარი. ბილეთების რეალიზაციით შემოსული თანხა შეადგენს 3411 ლარს. საკონცერტო დარბაზის გაქირავებით შემოსულია 1200 ლარი, ფასიანი ქორეოგრაფიული წრეების შემონატანი 11658 ლარი.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" კვლავაც აგრძელებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას წინასწარ შედგენილი გეგმის სრულფასოვნად შესრულებისათვის.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

კულტურის ცენტრი"-ს მმართველი რევაზ მესხი